

თანატოლთა ზეგავლენისა და ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული
ქცევითი სირთულეების ურთიერთმიმართება მოზარდთა დელიკვენტურ
ქცევასთან

მაკა ალავიძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**The Role of Peer Influence and Internalizing and Externalizing
Behavioral Difficulties in Adolescent Delinquent Behavior**

Maka Alavidze

Graduate student of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული
სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების - თანატოლთა ზეგავლენის, ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეების როლის შესწავლა. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, მონაცემები შეგროვდა მოზარდთა თვითანგარიშის კითხვარის (Achenbach, 1991) და თანატოლთა ზეგავლენის საზომი კითხვარის (Brown, 1985) საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულმა 60-მა არასრულწლოვანმა (39 ბიჭი, 21 გოგო, ასაკი 14-17 წელი). თვისებრივი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ პრაქტიკოსი ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ თანატოლთა ზეგავლენა, განსაკუთრებით თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა ($r = .536$; $p < .01$), წარმოადგენს პრობლემურ ქცევის განხორციელების ყველაზე ძლიერ პრედიქტორს. ოჯახურ აქტივობებში ჩართულობა უარყოფითად უკავშირდება პრობლემურ ქცევას ($r = -.434$; $p < .01$), ხოლო ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეები დადებით კავშირშია, როგორც დელიკვენტურ ქცევასთან ($r = .443$; $p < .01$), ასევე, შფოთვა/დებრესიასა და სომატურ ჩივილებთან. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფის ანალიზს, გამოვლინდა სამი ძირითადი თემა: თანატოლთა ზეგავლენის გადამწყვეტი როლი დელიკვენტურ ქცევაში, ინფორმაციული ვაკუუმი და ასერტული უნარების ნაკლებობა, ოჯახური გარემოს მნიშვნელობა.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ თანატოლთა ნორმებისა და ჯგუფური დინამიკის გაძლიერება, ასევე, ოჯახი წევრების მხრიდან მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი მიმართულებებია არასრულწლოვანთა პრობლემური ქცევის პრევენციისათვის.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა, პრობლემური ქცევა, თანატოლთა ზეგავლენა, დელიკვენტობა.

Abstract

The purpose of this study is to examine the factors influencing adolescents' problematic behavior, focusing on peer influence and the role of internalizing and externalizing behavioral difficulties. A mixed-methods approach was employed, incorporating both quantitative and qualitative methods. Quantitative data were collected using the Youth Self-Report (Achenbach, 1991) and the Peer Influence Measure (Brown, 1985). The sample consisted of 60 adolescents (39 boys, 21 girls; aged 14–17) participating in a diversion-mediation program. Qualitative data were obtained through a focus group with practicing psychologists and social workers.

Data analysis revealed that peer influence, particularly conformity to peer norms ($r = .536$; $p < .01$), was the strongest predictor of problematic behavior. Participation in family activities was negatively associated with problematic behavior ($r = -.434$; $p < .01$), while externalizing behavioral difficulties were positively correlated with both delinquent behavior ($r = .443$; $p < .01$) and anxiety/depression as well as somatic complaints. The focus group analysis identified three main themes: the critical role of peer influence in delinquent behavior, information gaps and lack of assertive skills, and the significance of the family environment.

These findings suggest that strengthening adherence to positive peer norms and group dynamics, along with family support, represent key strategies for the prevention of adolescents' problematic behavior.

Keywords: *adolescence, problematic behavior, peer influence, delinquency*

შესავალი

მოზარდობა განიხილება, როგორც ადამიანის განვითარების გარდამავალი ეტაპი, რომელიც მკვეთრი ფიზიკური და ფსიქიკური ცვლილებებით ხასიათდება და არსებითად განსხვავდება, როგორც ბავშვობის, ისე ზრდასრული ასაკისგან (Casey et al., 2010). ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ მოზარდებს არ აქვთ ემოციურად დატვირთულ კონტექსტში თვითრეგულირების მომწიფებული უნარი, უფროსებთან და ბავშვებთან შედარებით (Somerville et al., 2011a). ამასთან, ისინი გამოირჩევიან პროქსიმალური გარე გავლენების, მაგალითად, თანატოლების ზეგავლენისა და უშუალო სტიმულების მიმართ გაზრდილი მგრძნობელობით (Gardner & Steinberg, 2005; Figner et al., 2009). ასევე, მოზარდები უფრო მეტად არიან ორიენტირებულები თანატოლებზე და მათი ქცევა ხშირად შეესაბამება თანატოლების შეხედულებებს. შესაბამისად, ისინი ზრდასრულებთან შედარებით ხშირად ერთვებიან სარისკო ქცევაში, ნივთიერებების ბოროტად მოხმარებასა და სისხლის სამართლის დანაშაულებებში (Zimring, 1998).

ექსპერტები განასხვავებენ პრობლემების სამ ფართო კატეგორიას: *ნივთიერების ბოროტად გამოყენება* - გულისხმობს ნარკოტიკების არაადაპტირებულ მოხმარებას (Achenbach & Edelbrock, 1987). *ექსტრენალიზებული სირთულეები* მოზარდის პრობლემების გარეგნულ გამოხატულებას გულისხმობს, რაც ქცევითი პრობლემებით ვლინდება (კანონთან კონფლიქტი, ანტისოციალური ქცევა, აგრესია). *ინტერნალიზებული სირთულეები* კი ემოციური და კოგნიტური დისტრესია, როგორიცაა დეპრესია, ან შფოთვა. გარდა ამისა, მოზარდების ქცევაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანატოლთა ზეგავლენა, რომლის სამი ძირითადი მახასიათებელი გამოიყოფა: ინტენსივობა (ზეგავლენის სიხშირე და დონე), მიმართულება (პროსოციალური ან/და ანტისოციალური ქცევის განხორციელების იძულება) და ზეწოლის სფერო (სოციალური აქტივობები, პრობლემური ქცევა, ნორმების მიმართ კონფორმულობა).

საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ აღნიშნულ ცვლადებს შორის (მოზარდთა პრობლემურ ქცევა, თანატოლთა ზეგავლენა, ინტერნალიზებული და ექსტრენალიზებული ქცევითი სირთულეები) კავშირების შესწავლა. კვლევის გამოყენებითი ხასიათიდან გამომდინარე, შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება რეკომენდაციების შემუშავება დარგის სპეციალისტებისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი პრევენციის პროგრამებისა და სერვისების გაფართოებასა და დახვეწას, ხოლო მკვლევრებს საშუალებას მისცემს, გააგრძელონ საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა სხვადასხვა მიმართულებით.

მოზარდობა

მოზარდობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება, ინდივიდუალობის აღმოჩენა და მშობლებისგან განცალკევებაა (Collins & Steinberg, 2006). ამ პროცესის შემადგენელი კომპონენტებია სიახლის ძიება და სარისკო ქცევა, რაც ხშირად ემსახურება სოციალიზაციასა და ავტონომიის დამკვიდრებას (Spear, 2010). თუმცა, ამგვარი ქცევა შეიძლება მოიცავდეს მავნე ჩვევებსა და სამართალდარღვევას, განსაკუთრებით თანატოლთა ზეგავლენის გათვალისწინებით (Gardner & Steinberg, 2005). მიუხედავად ამისა, კვლევები აჩვენებს, რომ მოზარდობის პერიოდში ჩადენილი სარისკო ქცევა, უმეტეს შემთხვევაში

გარდამავალია და არ მიაწოდებს მუდმივ ანტისოციალურ ტენდენციებზე (Moffitt, 1993). ქცევითი მეცნიერებების მიხედვით, მოზარდები ზრდასრულებისა და ბავშვებისგან სამ ძირითად ასპექტში განსხვავდებიან.

თვითკონტროლი - თანამედროვე ნეირომეცნიერების კვლევები ადასტურებს, რომ თვითრეგულაციის უნარი პროგრესულად ვითარდება მოზარდობიდან ადრეულ ზრდასრულობამდე, რაც მეტწილად უკავშირდება განვითარებად პრეფრონტალურ ქერქს – არეს, რომელიც პასუხისმგებელია ემოციური იმპულსების დათრგუნვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე (Luna et al., 2015; Casey et al., 2017). მოზარდობის პერიოდში რეფლექსური, ემოციური სტიმულებზე მომენტალური რეაგირება კვლავ დომინანტურია, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს იმპულსურ და რისკიან ქცევებს (Somerville et al., 2017) კვლევები მიუთითებენ, რომ თვითკონტროლის დროებითი დეფიციტი განსაკუთრებით ვლინდება სოციალურ გარემოში ან ემოციურად დატვირთულ სიტუაციებში, რაც განაპირობებს დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს (Steinberg, 2020).

სოციალური ზეგავლენა - თანატოლთა ზეგავლენა მოზარდობის პერიოდში პიკს აღწევს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქცევით გადაწყვეტილებებში. სოციალური განმტკიცება (როგორცაა ჯგუფის მიერ აღიარება ან შეფასება) მოქმედებს მოტივაციურ სისტემებზე, ამაღლებს ჯილდოზე ორიენტირებულ ქცევას და ამცირებს რისკების შეფასების უნარს (Breiner et al., 2023). fMRI კვლევებმა აჩვენა, რომ თანატოლების თანდასწრებით მოზარდების ტვინში იზრდება სტრიატუმის აქტივობა - ტვინის ის უბანია, რომელიც დაკავშირებულია ჯილდოს მოლოდინთან (Smith, Steinberg & Chein, 2018). მსგავსი ნეირობიოლოგიური რეაქცია ზრდის ალბათობას, რომ მოზარდი ჩაერთვება ისეთ ქცევაში, რომელიც არ შეესაბამება მის პირად ღირებულებებს, მაგრამ თანხვედრაშია ჯგუფურ ნორმებთან.

მომავლის ორიენტაცია და მსჯელობა - მოზარდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ნაკლებად ეფუძნება გრძელვადიან პერსპექტივებს და მეტწილად წარმოადგენს მოკლევადიან სარგებელზე ორიენტირებულ რეაქციას. აღნიშნული თავისებურება მნიშვნელოვნად არის განპირობებული როგორც კოგნიტური განვითარების მიმდინარეობით, ასევე, ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობით (Blakemore, 2018). ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, რომ მოზარდთა ნეირონულ სტრუქტურაში დაჯილდოების სისტემები უფრო სწრაფად და ძლიერად აქტიურდება, ვიდრე თვითრეფლექსიისა და დაგეგმილი აზროვნებისათვის პასუხისმგებელი მექანიზმები, რაც იწვევს დისბალანსს იმპულსურ რეაქციებსა და გააზრებულ ქცევას შორის (Ferschmann et al., 2021). შედეგად, მოზარდთა მსჯელობა ხშირად ეფუძნება სოციოემოციურ ფაქტორებზე მორგებულ, მიმდინარე კონტექსტზე დამოკიდებულ სტრატეგიებს, რაც ზრდის სარისკო გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას.

პრობლემური ქცევა

მოზარდობის პერიოდი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ფსიქოსოციალურ განვითარებაში, რომელსაც ახასიათებს საკუთარი თავის ძიება, ავტონომიის გაძლიერება და ინდივიდის ინტეგრაცია სოციალურ გარემოში (Steinberg, 2014). ამ განვითარების ფონზე, მრავალი მოზარდი ავლენს პრობლემურ ქცევას, ანუ ქცევებს, რომლებიც არ შეესაბამება როგორც საზოგადოებრივ, ასევე, სამართლებრივ ნორმებს და ხშირად ზიანს აყენებს ინდივიდს და გარემოს (Jessor, 1991).

პრობლემური ქცევა შეიძლება გამოვლინდეს ექსტერნალიზებულ ფორმებში - აგრესია, კანონდარღვევა, ნივთიერებების მოხმარება, - ან ინტერნალიზებულ ფორმებში, როგორცაა დეპრესია, შფოთვა და თვითდაზიანება (Achenbach & Rescorla, 2001).

საშუალოდ, ამგვარი ქცევები ასოცირდება სხვადასხვა ფსიქოსოციალურ ფაქტორებთან, მათ შორის, მშობლების კონტროლის ხარისხთან, თანატოლთა ზეგავლენასთან და სასკოლო გარემოს ფაქტორებთან (Brown, 1985; Jessor, 1991). თანამედროვე კვლევები ამტკიცებენ, რომ ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და სოციალური მედიის ფართო გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და, შესაბამისად, პრობლემური ქცევის წარმოშობაზე (Odgers & Jensen, 2020; Twenge, 2019). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ემოციების რეგულაცია და თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობები მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორებს წარმოადგენენ, რომლებიც ამცირებენ სარისკო ქცევის გამოვლენას (Compas et al., 2021).

პრობლემური ქცევის თეორია ფორმულირდა 1960-იან წლებში და ძირითადად, ემყარება ჯულიან როტერის მოსალოდნელი ღირებულების მოდელს და მერტონის (1957) ანომიის თეორიას. თეორიის საფუძველზე პრობლემური ქცევა განისაზღვრება, როგორც ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალურ ნორმებს და იწვევს სოციალური კონტროლის მხრიდან პასუხს, დაწყებული მინიმალური შეზღუდვებით და დამთავრებული თავისუფლების აღკვეთით (Jessor, Graves, Hanson, & Jessor, 1968). თეორია აგებულია სამ ძირითად სისტემაზე, რომლებიც ურთიერთქმედებენ და ერთად განსაზღვრავენ ინდივიდის ქცევას: *პიროვნების სისტემა*, რომელიც მოიცავს მოზარდის მოტივაციურ სტრუქტურას, პირად რწმენებსა და თვითკონტროლის მექანიზმებს. მოტივაციური სტრუქტურა უკავშირდება ინდივიდის მოლოდინებს წარმატების, განათლებისა და მომავლის მიმართ. პიროვნული რწმენების სტრუქტურას, რომელიც მოიცავს მოზარდის გრძნობებს გაუცხოების, სოციალური კრიტიკისა და სტრესის მიმართ, ასევე, მნიშვნელოვანი როლი აქვს სარისკო ქცევის გამოვლენაში (White & Renk, 2012; Mikolajczak et al., 2020). *აღქმული გარემოს სისტემა*, რომელიც განისაზღვრება მოზარდის სუბიექტური აღქმით გარემოსა და სოციალური ქსელის მიმართ, მოიცავს ოჯახურ ურთიერთობებს, თანატოლთა ზეგავლენას, სასკოლო გარემოსა და სხვა სოციალურ ფაქტორებს. ოჯახის მხრიდან კონტროლი და სოციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ამცირებს პრობლემური ქცევის გამოვლენის რისკს, მაშინ როდესაც კონტროლის ნაკლებობა და სტრესი ზრდის მოზარდის მიერ სარისკო ქცევის განხორციელების ალბათობას (Donovan, Jessor, & Costa, 1991; Engels et al., 2004). *ქცევის სისტემა*, რომელიც მოიცავს, როგორც პრობლემურ, ასევე, ჯანსაღ და შესაბამის ქცევას.

თანატოლთა ზეგავლენა და დელიკვენტობა

თანატოლთა ზეგავლენა მოზარდობის პერიოდში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდეს, როგორც პროსოციალურ, ასევე, ანტისოციალურ ქცევას. ბრაუნის (1985) მიხედვით, თანატოლთა ზეგავლენას აქვს სამი ძირითადი კომპონენტი: ინტენსივობა (ზეგავლენის სიხშირე და სიძლიერე), მიმართულება (პროსოციალური ან/და ანტისოციალური ქცევისკენ დაქაჩვა), და ზეწოლის სფერო (ქცევითი კატეგორიები, რომლებზეც ზეგავლენა ვრცელდება). ზეგავლენის მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯგუფის ნორმებსა და ღირებულებებზე, თუმცა

მექანიზმები, რომლებითაც თანატოლები ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, სტრუქტურულად ერთნაირია.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ თანატოლთა ზეგავლენა და კონფორმულობა. თუ ზეგავლენისას მოქმედება იძულებითი და ინდივიდის ნების ხელყოფაა, კონფორმულობა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მოზარდის თვითნებურ გადაწყვეტილებას ჯგუფში ინტეგრაციის, ან გარკვეული მიზნების (პოპულარობა, სტატუსი, ავტონომია) მისაღწევად. შესაბამისად, კონფორმულობა შეიძლება განიმარტოს, როგორც სტრატეგიული ადაპტაცია, ხოლო ზეწოლა, როგორც მექანიზმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ემოციური დისკომფორტის ფონზე იწვევს ქცევით რეაქციას. გარდნერი და სტეინბერგი (Gardner & Steinberg, 2005) ხაზს უსვამენ, რომ მოზარდის თანატოლთა მიმართ კონფორმულობა დაკავშირებულია ემოციური ავტონომიისკენ სწრაფვასთან. მოზარდი, რომელიც ცდილობს მშობლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას, ხშირად იყენებს თანატოლთა ჯგუფს, როგორც გარდამავალ სივრცეს თვითიდენტობის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, რეალურად, ემოციური ავტონომია ჯერ კიდევ ნაწილობრივია, რის გამოც მოზარდი დამოკიდებული რჩება თანატოლებზე. მათი კვლევის მიხედვით, თანატოლთა მიმართ კონფორმულობა 10-დან 14 წლამდე ასაკში იზრდება, შემდეგ კი თანდათან იკლებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი და კონფორმულობისგან დისტანცირების შესაძლებლობა.

მოზარდთა დელიკვენტური ქცევა ხშირად აიხსნება იმ სუბკულტურული ღირებულებებით, რომლებსაც კონკრეტული თანატოლთა ჯგუფები იზიარებენ. ჰუბას და კოლეგების (1979) მიხედვით, დელიკვენტური ქცევის განმაპირობებელ ფაქტორს ჯგუფის ღირებულებები წარმოადგენს. მაგალითად, ნარკოტიკის მომხმარებელ მოზარდთა სუბკულტურა არაფრით განსხვავდება არამომხმარებლებისგან გარდა ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებისა, რაც მიუთითებს, რომ ზეგავლენის მექანიზმი ორივე შემთხვევაში ერთნაირია, ხოლო ქცევითი მიმართულება დამოკიდებულია ჯგუფის ნორმებზე.

კვლევის მიზანი

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების - ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეებისა და თანატოლთა ზეგავლენის (განსაკუთრებით, თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობის) როლის შესწავლა, განრიდების პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების მაგალითზე. შესაბამისად, კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: არსებობს თუ არა თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობასა და მოზარდთა დელიკვენტურ ქცევას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი?; როგორ უკავშირდება საოჯახო აქტივობებში ჩართულობა დელიკვენტურ ქცევის გამოვლენის მაჩვენებელს?; როგორ უკავშირდება ინტერნალიზებული (შფოთვა, დეპრესია, სომატური ჩივილები) და ექსტერნალიზებული (აგრესია, წესების დარღვევა) სირთულეები მოზარდთა დელიკვენტურ ქცევას?; ასევე, როგორ აღწერენ სპეციალისტები (ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები) არასრულწლოვანთა პრობლემური ქცევის გამომწვევ ძირითად დამცავ და რისკ ფაქტორებს პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

საკვლევი ჰიპოთეზები

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზები:

თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა დადებითად უკავშირდება დელიკვენტური ქცევის განხორციელების მოტივაციას, ხოლო თანატოლთა ჯგუფების მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება - სოციალურად მისაღებ ნორმას.

რაც უფრო ძლიერია საოჯახო აქტივობებში ჩართულობა, მით უფრო მცირდება არასრულწლოვნების მხრიდან დელიკვენტური ან/და პრობლემური ქცევის განხორციელება.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ჩატარდა გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფი. კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, რესპონდენტების შეირჩა მიზნობრივი შერჩევის მეთოდის გამოყენებით.

ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული ქცევების გასაზომად გამოყენებულია მოზარდთა თვითანგარიშის კითხვარი (Youth Self-Report; Achenbach & Rescorla, 2001). ინსტრუმენტი აფასებს პრობლემური ქცევების ორ მნიშვნელოვან ასპექტს: ინტერნალიზებულ და ექსტერნალიზებულ ქცევას. საზომი აფასებს “მთელს კომპეტენციას”, რაც მოიცავს - სოციალურ ფუნქციონირებას, სხვადასხვა აქტივობასა და სკოლაში ჩართულობას. შედეგა 112 დებულებისაგან, რომელიც ფასდება სკალაზე 0-დან 2-მდე, სადაც 0 - აღნიშნავს „არ არის სწორი“, 1 – „ნაწილობრივ ან ზოგჯერ სწორია“ 2 - "აბსოლუტურად სწორია ან ხშირად სწორია" ($\alpha=.90$). შემოხსენებული 112 დებულება, დაყოფილია 9 ქვესკალად, რომელთა დახმარებით, იზომება სხვადასხვა ფაქტორი, ესენია: შფოთვა/დეპრესია; გარიყულობა/დეპრესია, სომატური ჩივილები, სოციალური პრობლემები, აზროვნების პრობლემები, ყურადღების პრობლემები, ქცევა, რომელიც წესების დარღვევას გულისხმობს, აგრესიული ქცევა.

თანატოლთა ზეგავლენის გასაზომად, გამოყენებულია ბრაუნის (Brown, 1985) ინსტრუმენტის საბოლოო ვერსია (Peer Pressure Inventory - PPI), ინსტრუმენტი შედგება 53 დებულებისაგან, რომელიც ფასდება სკალაზე 1-დან 3-მდე, სადაც 1 - აღნიშნავს " ხშირად" , 2 - "ზოგჯერ", 3 - "საერთოდ არ". ხოლო ცენტრალური გრაფა - "ზეგავლენა არ იკვეთება" ($\alpha=.74$). ინსტრუმენტი შედგება 5 ქვესკალისგან, რომელთა დახმარებითაც იზომება სხვადასხვა ფაქტორი ესენია: 1. თანატოლთა აქტივობებში ჩართულობა, 2. სკოლაში ჩართულობა 3. ოჯახში ჩართულობა 4. თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა 5. პრობლემური ქცევა .

კვლევის პროცედურა

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 60-მა განრიდებულმა. რესპონდენტების გამოკითხვამდე პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელისგან ოფიციალური წერილის საფუძველზე მოვიპოვეთ თანხმობა კვლევის განხორციელების თაობაზე. ისინი შეირჩა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით. გამოკითხვის ჩატარებამდე, მონაწილეთა არასრულწლოვანი სტატუსის გამო, მათ მშობლებს მიეწოდათ ინფორმაციული თანხმობის ფორმა, რის შემდგომაც არასრულწლოვნებთან გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ, ფურცლებზე დაბეჭდილი ინსტრუმენტების გამოყენებით. ყველა მონაწილეს წარედგინა ინსტრუქცია, კვლევის მიზნის მოკლე აღწერასთან ერთად.

კვლევის ფარგლებში ასევე, ჩატარდა ფოკუს ჯგუფი, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან.

კვლევის მონაწილეები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნებმა, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინებით ჩართულნი არიან განრიდების პროგრამაში. განრიდების პროგრამა გულისხმობს სასჯელის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც 14-21 წლამდე პირებს ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმ პირობით, თუ პირი ამ ფაქტამდე არ არის ნასამართლევ და ბრალი ედება ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დანაშაულში, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2021). შესაბამისად, განრიდების პროგრამაში მონაწილეობის შანსი აქვთ იმ არასრულწლოვნებს, რომლებმაც განახორციელეს დელიკვენტური ქცევა ამ შემთხვევაში მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს სწორედ განრიდების პროგრამაში ჩართული მოზარდები წარმოადგენენ.

ასაკის თვალსაზრისით, კვლევაში დასახული მიზნებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვნებმა. სქესის ნიშნით მონაწილეთა ჯგუფების ჰომოგენურობის შენარჩუნების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ სამიზნე პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, მამრობითი სქესის წარმომადგენელია. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფის შემადგენლობას, მონაწილეობა მიიღო სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 6-მა სპეციალისტმა, რომლიდანაც 2 იყო ფსიქოლოგი, ხოლო 4 - სოციალური მუშაკი.

კვლევის მონაწილეთა სქესი - 39 (65%) მამრობითი, 21 (35%) მდედრობითი;

ასაკი - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 14-დან 17 წლამდე, ($M=16.18$, $SD=.93$);

გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა სწავლობდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ჰქონდა აქტიური მოსწავლის სტატუსი.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

აღწერითი სტატისტიკა

კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS 24-ის საშუალებით. ანალიზისას გამოყენებული იყო შემდეგი სტატისტიკური ოპერაციები: T-კრიტერიუმი დამოუკიდებელ ჯგუფთა შედარებისთვის, პირსონის კორელაციური ანალიზი, წრფივი რეგრესიული ანალიზი, სკალის შინაგანი კონსისტენტობის საკვლევა კრონბახის ალფა კოეფიციენტი. ხოლო ფოკუს ჯგუფის თვისებრივი მონაცემები დამუშავდა კონტენტ ანალიზის საშუალებით.

თანატოლთა ზეგავლენის კითხვარის (PPI) ცალკეული სკალებიდან, როგორებიცაა: თანატოლთა აქტივობებში ჩართულობა, სკოლაში ჩართულობა, ოჯახში ჩართულობა, თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა, პრობლემური ქცევა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ საოჯახო აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით. კერძოდ, თანატოლთა ზეგავლენა უფრო მეტად ახდენს გავლენას მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე ($M=16.1$, $SD=3.21$), ვიდრე, მდედრობითი სქესზე ($M=14.43$, $SD=2.34$), $t(58)=2.1$; $p=0.04$, რაც ასევე, განხილული კვლევების საფუძველზეც დასტურდება (Brown, 1985; Odunjo-Sak, 2019). ხოლო თანატოლთა ზეგავლენის საერთო მაჩვენებლის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა მდედრობითი ($M=98.29$; $SD=11.62$) და მამრობითი სქესის მოზარდებში $M=96.45$; $SD=10.21$), $t(57)=.75$; $p=.46$. აღნიშნული მიუთითებს, რომ თანატოლთა ჯგუფის ზეწოლის საერთო დონე ორივე სქესისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია (Matos et al., 2015).

რაც შეეხება მოზარდთა თვითანგარიშის ფორმას, ცალკეული სკალების მიხედვით, სქესთაშორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა თუმცა, აზროვნების პრობლემების სკალაზე, საშუალო მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო გოგონებში ($M=6.86$, $SD=3.54$), ვიდრე ბიჭებში ($M=4.74$; $SD=3.16$), $t(58)=2.37$; $p<.05$. მსგავსი ტენდენციებია ასევე, შფოთვა/დეპრესიის ქვესკალაზე, რომლის მიხედვითაც მდედრობითი სქესის მოზარდებს ($M=5.9$, $SD=3.58$) უფრო მეტად აღენიშნებათ შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებელი, ვიდრე მამრობითი სქესის მოზარდებს ($M=4.26$, $SD=2.42$), $t(58)=1.89$, $p=0.68$. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მნიშვნელობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, აღნიშნული ემთხვევა ინტერნალიზებული სირთულეების თეორიულ წარმოდგენებს გენდერული სპეციფიკის შესახებ, რომლის მიხედვითაც გოგონები უფრო მიდრეკილნი არიან შფოთვისა და დეპრესიისკენ (Hankin et al., 1998; Rescorla et al., 2007).

ძირითადი ქვესკალების სქესთაშორისი შედარებისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა ექსტერნალიზებულ და ინტერნალიზებულ ქცევით სირთულეებში. თუმცა, მდედრობითი სქესის მოზარდები უფრო მეტად გამოხატავდნენ ინტერნალიზებული სირთულეებს ($M=11.62$; $SD=6.09$) ვიდრე, მამრობითი სქესის მოზარდები ($M=11.77$; $SD=5.3$) $t(58)=2.21$; $p=0.31$, მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ექსტერნალიზებული სირთულეების შემთხვევაშიც, მდედრობითი - ($M=15.86$; $SD=5.57$), მამრობითი - $M=8.72$; $SD=4.85$ $t(58)=2.11$, $p=0.39$. აღსანიშნავია, რომ შედეგები არ გვაჩვენებს სქესთა შორის განსხვავებებს

აგრესიული ქცევის გოგონებსა და ბიჭებს შორის. აგრესიული ქცევის განხორციელება არ განსხვავდება, მაშინ, როდესაც რეალური აგრესიის გამოვლინება ბიჭებში უფრო მაღალია ($M=6.46$; $SD=3.83.1$), ვიდრე გოგონებში ($M=8.48$; $SD=3.57$) $t(58)=1.934$ $p=.06$ $p>.05$

მოზარდთა თვითანგარიშის ფორმისა და თანატოლთა ზეგავლენის კითხვარების აღწერითი სტატისტიკისა და სანდოობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1. აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

	საერთო				მდედრობითი			მამრობითი			
	N	α	M	SD	A	M	SD	α	M	SD	t
მოზარდთა თვითანგარიშის ფორმა											
ექსტერნალიზებული პრობლემები	23	.74	13.22	6.2	.63	15.48	5.57	.76	12.00	6.24	2.11
ინტერნალიზებული პრობლემები	25	.73	9.73	5.45	.76	11.62	6.09	.68	8.72	4.85	2.21
აგრესიული ქცევა	13	.60	7.97	3.80	.53	8.48	3.57	.68	6.46	3.83	1.93
წესების დამრღვევი ქცევა	10	.48	5.58	2.95	.44	6.48	2.93	.51	5.10	2.88	1.75
აზროვნების პრობლემები	11	.65	5.48	3.42	.62	6.86	3.54	.63	4.74	3.16	2.37
შფოთვა/დეპრესია	11	.52	4.83	2.96	.64	5.90	3.58	.32	4.26	2.42	1.89
ყურადღების პრობლემები	7	.54	4.3	2.56	.54	4.90	2.59	.55	4.03	2.53	1.27
გარიყულობა/დეპრესია	6	.45	3.48	4.17	.33	4.19	2.11	.48	3.10	2.12	1.9
სოციალური პრობლემები	5	.55	1.70	1.71	.47	1.81	1.66	.58	1.64	1.75	.36
სომატური ჩივილები	8	.34	1.42	1.39	.38	1.52	1.47	.38	1.36	1.37	.43
საერთო მაჩვენებელი	112	.90	63.14	22.92	.89	70.24	22.94	.91	59.21	22.25	2.45
თანატოლთა ზეგავლენა											
პრობლემური ქცევა	11	.72	18.72	4.27	.63	19.86	3.97	.76	18.10	4.36	1.54

თანატოლთა ჩართულობა	აქტივობებში	9	.58	18.00	3.5	.54	17.86	3.34	.60	18.08	3.62	-.23
თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა		9	.70	16.0	3.7	.79	17.24	4.32	.58	15.33	3.19	.178
სკოლაში ჩართულობა		8	.42	15.60	2.87	.47	15.67	2.90	.46	15.55	2.88	.15
ოჯახში ჩართულობა		7	.70	15.52	3.02	.32	14.43	2.34	.75	16.10	3.21	-2.1
საერთო მაჩვენებელი		51	.74	97.1	10.67	.78	98.29	11.62	.73	96.45	10.21	.75

*** $p \leq .001$; ** $p \leq .01$

ინტერნალიზებულ ქცევით სირთულეები, რომლებსაც მოზარდები ყველაზე უფრო ხშირად აფიქსირებდნენ უკავშირდებოდა შფოთვისა და დეპრესიასთან დაკავშირებულ დებულებებს ($M=4.83$; $SD=2.96$) და გარიყულობა/დეპრესიას ($M= 3.48$; $SD=4.17$), ხოლო ყველაზე ნაკლებად, სომატურ ჩივილებთან დაკავშირებულ პრობლემებს ($M=1.42$, $SD=1.39$), რაც მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური სტრესი და სოციალური იზოლაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდთა ემოციურ მდგომარეობაზე. ექსტერნალიზებულ ქცევით სირთულეების შემთხვევაში მცირედ განსხვავდებოდა წესების დამრღვევი ქცევისა ($M=5.58$, $SD=2.95$) და აგრესიული ქცევის ($M=7.97$, $SD=3.8$) გამოვლენის მაჩვენებლები. რაც შეეხება თანატოლთა ზეგავლენის ინსტრუმენტს, არცერთ სკალაზე არ გამოკვეთილა მნიშვნელოვანი განსხვავება თანატოლთა ზეგავლენასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით (პრობლემური ქცევა ($M=18.72$, $SD=4.27$) თანატოლთა აქტივობებში ჩართულობა ($M=18.0$, $SD=3.5$); თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა ($M=16.0$ $SD= 3.7$) სკოლაში ჩართულობა ($M=15.6$, $SD=2.87$) ოჯახში ჩართულობა ($M=15.53$, $SD= 3.02$)). მიუხედავად ამისა, აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ ოჯახში ჩართულობა და თანატოლებთან ჯანსაღი ინტერაქცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდთა ქცევის რეგულირებაში, რაც ხაზს უსვამს პრევენციული და ინტერვენციული პროგრამების საჭიროებას, რომლებიც მიმართულია როგორც ოჯახური ჩართულობის, ასევე, სოციალური გარემოს გაძლიერებისაკენ.

კორელაციური ანალიზი

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი), რომელიც ჩატარდა რთული ქცევის მქონე მოზარდების საერთო მონაცემებზე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირები ინტერნალიზებულ და ექსტერნალიზებულ ქცევით სირთულეებსა და თანატოლთა ზეგავლენის ცვლადებს შორის (*იხ ცხრილი N2*). კერძოდ, ოჯახში ჩართულობა სუსტ და საშუალო სიძლიერის უარყოფით კორელაციაშია სომატურ ჩივილებთან ($r = -.269^*$, $p < .01$), აზროვნების პრობლემებთან ($r = -.379^{**}$, $p < .05$), წესების დამრღვევ ქცევასთან ($r = -.443^{**}$, $p < .01$) და ექსტერნალიზებული სირთულეების საერთო მაჩვენებელთან ($r = -.390^{**}$, $p < .01$). აღნიშნული მიუთითებს, რომ ოჯახურ აქტივობებში მონაწილეობის მაღალი დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ქცევითი, ასევე, ემოციური სირთულეების პრევენციაში.

დადებითი კორელაციები გამოვლინდა დელიკვენტურ ქცევასა და ექსტერნალიზებულ სირთულეებს შორის. პრობლემური ქცევა საშუალო სიძლიერით პოზიტიურად უკავშირდება წესების დამრღვევ ქცევას ($r = .374^{**}$, $p < .01$) და აგრესიულ ქცევას ($r = .395^{**}$, $p < .01$), ხოლო მოზარდთა თვითანგარიშის კითხვარის საერთო მაჩვენებელი ზომიერ სიძლიერით დადებით კავშირშია პრობლემურ ქცევასთან ($r = .326^*$, $p < .01$). აგრესიული ქცევა ძლიერ დადებით კავშირს ავლენს, როგორც წესების დამრღვევ ქცევასთან, ასევე, შფოთვის, დეპრესიისა და სომატური ჩივილების მაჩვენებლებთან, რაც ადასტურებს ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული სირთულეების თანხვედრას.

ცხრილი N2 ძირითად საკლვევ ცვლადებს შორის კორელაცია

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. თანატოლთა აქტივობებში ჩართულობა	-											
2. სკოლაში ჩართულობა	.266	-										
3. ოჯახში ჩართულობა	.067	.493**	-									
4. თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა	.274*	-.077	-.253	-								
5. პრობლემური ქცევა	.343**	-.123	-.434**	.536**	-							
6. შფოთვა/დეპრესია	-.142	-.108	-.184	.021	-.010	-						
7. გარიყულობა/დეპრესია	.001	.274*	-.016	.180	.135	.428**	-					
8. სომატური ჩივილები	-.101	-.126	-.269*	.182	.237	.519**	.286*	-				
9. წესების დამრღვევი ქცევა	-.036	-.287*	-.443**	.191	.374**	.504**	.148	.528**	-			
10. აგრესიული ქცევა	-.068	-.106	-.264*	.245	.395**	.488**	.343**	.369**	.511**	-		
11. ინტერნალიზებული პრობლემები	-.108	.016	-.190	.142	.124	.880**	.733**	.710**	.517**	.499**	-	
12. ექსტერნალიზებული პრობლემები	-.062	-.211	-.390*	.254*	.443**	.567**	.292*	.501**	.825**	.907**	.584**	-

*** $p \leq .001$; ** $p \leq .01$

პრობლემური ქცევის მოზარდებში ჩატარებული რაოდენობრივ კვლევის მიხედვით, პრობლემურ ქცევასა და ოჯახში ჩართულობას შორის საშუალო უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა, რაც ერთ-ერთი საკვლევი ცვლადი იყო. მოზარდებს, რომლებიც მონაწილეობენ საოჯახო აქტივობებში, ნაკლებად აქვთ პრობლემური ქცევის განხორციელების მოტივაცია. ასევე, ოჯახში ჩართულობასთან მიმართებით გამოიკვეთა უარყოფითი კავშირები სომატურ ჩივილებს, წესების დამრღვევ ქცევასა და აგრესიულ ქცევას შორის. არასრულწლოვნები, რომლებიც დროს ატარებენ ოჯახის წევრებთან ერთად, სხვების მიმართ ნაკლებად ავლენენ აგრესიულ ქცევას, ჯანმრთელობის სხვადასხვა სირთულეებს და კანონსაწინააღმდეგო ქცევას. ასევე, საშუალო უარყოფითი კავშირი გამოიკვეთა ექსტერნალიზებულ ქცევითი სირთულეების საერთო ქვესკალასა და ოჯახში ჩართულობას შორის. შესაბამისად, არასრულწლოვნების ოჯახში ჩართულობა შეიძლება მივიჩნიოთ პრობლემური ქცევის განხორციელების ერთ-ერთ პრევენციის მექანიზმად. ამის საპირისპიროდ, ოჯახში სირთულეები და კონფლიქტური სიტუაციები არასრულწლოვანს უქმნის რიგ სირთულეებს, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია პრობლემურ ქცევასთან და მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დინამიკასთან.

რეგრესიული ანალიზი

კორელაციური კავშირების დადგენის შემდგომ, ჩატარდა მონაცემთა მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ არასრულწლოვნებში პრობლემური ქცევის განხორციელების ყველაზე მაღალი პრედიქტორი თანატოლთა ზეგავლენაა.

პირველი საკვლევი ჰიპოთეზის მიხედვით, ვიკვლიეთ მოსაზრება, რომ თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა და მათ სახიფათო აქტივობებში ჩართვა, დადებითად უკავშირდება დელიკვენტური ქცევის განხორციელების მოტივაციას.

თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობა და მათ სახიფათო აქტივობებში ჩართულობა ვარიაბელობის 30.5%-ს ხსნის ($R^2_{\text{ADJ}}=.305$, $F(2,57)=13.96$, $p<.01$) და მოზარდთა პრობლემური ქცევის განხორციელების სანდო პრედიქტორია ($\beta =.536$);

მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა მოზარდების საოჯახო და სასკოლო აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებლებს შორის. საოჯახო აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელი ხსნის ვარიაბელობის 17.4% ($R^2_{\text{ADJ}}=.174$, $F(1,58)=13.459$, $p<.01$) და მოზარდთა პრობლემური ქცევის განხორციელების სანდო პრედიქტორია ($\beta =-.434$, $p<.01$);

ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეები ვარიაბელობის 18.2% -ს ხსნის ($R^2_{\text{ADJ}}=.182$; $F(1,58)=14.151$, $p<.01$) და მოზარდთა პრობლემური ქცევის განხორციელების სანდო პრედიქტორია ($\beta =.443$, $p<.01$);

პრობლემური ქცევის განხორციელების ყველაზე მაღალი პრედიქტორი თანატოლთა ზეგავლენა აღმოჩნდა, რომელიც ვარიაბელობის 37.5% -ს ხსნის ($R^2_{\text{ADJ}}=.375$; $F(1,57)= 35.806$, $p<.01$) და მისი სანდო პრედიქტორია ($\beta=.621$, $p<.01$);

ფოკუს ჯგუფის ანალიზი

კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა რთული ქცევის მოზარდებთან მომუშავე სპეციალისტების პერსპექტივიდან შეგვეხედა საკითხისთვის, რაც ასევე, შემავსებელ ინფორმაციას მოგვცემდა საკითხის შესწავლისას და დაგვეხმარებოდა შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში. ფოკუს ჯგუფის ფარგლებში განხილული იყო კვლევასთან დაკავშირებული ყველა ცვლადი სპეციალისტების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ესენია : მოზარდობის ასაკის დელიკვენტური ქცევა, ინტერნალიზებული და ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეები, ნივთიერებების მოხმარება. ასევე, სპეციალისტებმა ისაუბრეს მათ როლზე, მოზარდებისთვის არსებულ სერვისებზე და დანაშაულის პრევენციის ალტერნატიულ გზებზე.

სპეციალისტების აზრით, მოზარდთა დელიკვენტურ ქცევაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, თუმცა, მათ შორის გამოყვეს ძირითადები ესენია: თანატოლთა ზეგავლენა, ინფორმაციის არქონა, ასერტული უნარები, სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა, არაორგანიზებული დღის რეჟიმი, მშობლებთან არამჭიდრო ემოციური კავშირი, ღირებულებები, საცხოვრებელი უბანი და სხვა.

"ხშირ შემთხვევაში არის ინფორმაციული ვაკუუმი, მოზარდები არ ფლობენ ინფორმაციას რა შემთხვევაში შეიძლება იყო მათი ქცევა კანონსაწინააღმდეგო. ასევე, ასერტული უნარების ნაკლებობა - ხშირად მოზარდები მხარდამჭერები არიან საკუთარი მეგობრების და მათდაუნებურად ეხვევიან კანონსაწინააღმდეგო ქცევის პროცესში. ასევე, სოციალური პირობები, რის გამოც დროის უმეტეს ნაწილს მოზარდი ატარებს გარეთ. ამასთან, აქვთ არაორგანიზებული დღის რეჟიმი და ოჯახი ვერ ახერხებს მათ სათანადოდ კონტროლს" (ფსიქოლოგი, მდებდრობითი)

გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ექსპერტებმაც დაადასტურეს თანატოლთა ზეგავლენის მნიშვნელობა. მათი თქმით, არასრულწლოვნების მიერ ჯგუფურად და ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების დაახლოებით 80%, დაკავშირებული იყო სწორედ თანატოლთან ზეგავლენასთან. ასევე, გამოიკვეთა ისეთი ქმედებებიც, რომლის დროსაც მოზარდს სამეგობროში თვითდამკვიდრების გამო მიუმართავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის და ჩაუდენია .

"ერთ-ერთი ბენეფიციარი (16 წლის) რომელთანაც ამ ეტაპზე ვმუშაობ, შეფასების პროცესში თავადვე აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი თავის დამკვიდრების სურვილი იყო. მისი იმჟამინდელი სამეგობრო შედეგობდა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისგან და როგორც თავად აღნიშნა, სხვა გზით ვერ დაუახლოვდებოდა მათ, ამიტომ სასმლის მოპარვით ეცადა მათზე შთაბეჭდილების მოხდენას". (სოციალური მუშაკი, მდებდრობითი)

გარდა ამისა, სოციალური მუშაკები პირადი პრაქტიკიდან აღნიშნავენ, რომ მოზარდები ხშირად ახსენებენ დამაბულობისა და სიამოვნების გრძნობას, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს განიცდიდნენ. ერთ-ერთი სოციალური მუშაკი იხსენებს:

"როდესაც დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე ვსაუბრობდით, მითხრა, რომ ამ დროს რაღაცნაირ ადრენალინს გრძნობდა და მუდმივად სურდა, ეს ეგრძნო. მოზარდს ჰქონდა ბევრი დანაშაულის ეპიზოდი (9 ან 10, თუ სწორად მახსოვს) ძალიან ახლო პერიოდში განხორციელებული. მისი თქმით, მსგავს დანაშაულებრივ ქცევას მხოლოდ შეგრძნების გამო ჩადიოდა, რომელსაც თვითონ განსაკუთრებული შეგრძნებით და ადრენალინის გამოყოფით მოიხსენიებდა". (სოციალური მუშაკი, მდედრობითი)

სპეციალისტები საუბრობენ არასრულწლოვნებში ფსიქოპათიური ნივთიერებებისა და ალკოჰოლის ავადმომარებაზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებული იყო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ალბათობასთან. მსგავსი შემთხვევებიდან დელიკვენტურ ქცევასთან კავშირში ნაკლებად სახელდება ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება. უფრო მეტად მოზარდებში იკვეთებოდა ალკოჰოლის მოხმარების გამოცდილება, რასაც მოზარდები სოციალურ მუშაკებთან ინტერვიუს დროს დანაშაულის ჩადენის მიზეზად ასახელებდნენ.

"ინტერვიუს დროს არაერთ განსარიდებელს უთქვამს, რომ არა ალკოჰოლური თრობა დანაშაულს არ ჩაიდენდა და რომ ალკოჰოლურმა თრობამ შეანელა მისი გრძნობები, ემოციები. (სოციალური მუშაკი, მდედრობითი).

გამოკითხვის შედეგების მსგავსად, სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ აზროვნების, აკადემიური და ყურადღების პრობლემებთან დაკავშირებულ სირთულეების მხრივ, იშვიათად იყო შემთხვევები, რაც უშუალოდ კავშირში იყო დელიკვენტურ ქცევასთან.

დისკუსიის ფარგლებში ვისაუბრეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებზე. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული დაკავშირებული იყო სწორედ მის ფსიქიკურ მდგომარეობასთან. სპეციალისტების მიერ ძირითადად დასახელდა შემდეგი სირთულეები: შეფასების პროცესში გამოვლენილი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, დიაგნოზირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები: მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა, შფოთვითი აშლილობა, დეპრესიული განწყობა, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი.

სხვა შემთხვევებზე საუბრისას სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი იღებდა დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას, რის შემდგომაც განიხილებოდა, რამდენად აკმაყოფილებდა არასრულწლოვნის მდგომარეობა განრიდების პროგრამის მიზნებს.

"პრაქტიკაში ხშირი არ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც განსარიდებელს აქვს რაიმე სახის დიაგნოზირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. თუმცა, შეფასებისას ყოფილა შემთხვევები, როდესაც განსარიდებელი შეკითხვაზე ადეკვატურად ვერ რეაგირებს, ან ვერ იგებს სწორად შეკითხვის აზრს, არ აქვს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები სათანადოდ განვითარებული და ა.შ." (ფსიქოლოგი, მდედრობითი)

დისკუსიის ფარგლებში სპეციალისტებმა ასევე, ისაუბრეს იმ წინააღმდეგობებზე, რომლებსაც აწყდებიან პროფესიული საქმიანობის შესრულებისას. ხშირ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია

საწყის ეტაპზე არასრულწლოვნების მხრიდან უნდობლობასთან, ცინიკურ დამოკიდებულებასთან აგრესიულ ქცევასა და კომუნიკაციის სირთულეებთან.

"მახსენდება შემთხვევა, რომ საწყის ეტაპზე განრიდებული გამოირჩეოდა აგრესიული ქცევით და არ ავლენდა მოტივაციას ჩართულიყო პროგრამაში. თუმცა, ჩვენი მუშაობის შედეგად და სარეაბილიტაციო პროგრამების დასრულების შემდეგ აბსოლუტურად სხვა შეხედულებებით დაუსრულებია პროგრამა" (სოციალური მუშაკი, მდედრობითი).

დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პრობლემური ქცევის მოზარდებზე მოქმედი ინდივიდუალური - ინტერნალიზებული ქცევითი სირთულეებისა და სოციალური ფაქტორების - თანატოლთა ზეგავლენის, ექტერნალიზებული ქცევითი სირთულეების კავშირების კვლევა, განრიდების პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების მაგალითზე.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ მოზარდთა პრობლემურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორებიდან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც თანატოლთა ზეგავლენა, ასევე, ინტერნალიზებული და ექტერნალიზებული ქცევითი სირთულეები. შედეგებმა, თანატოლთა ზეგავლენის მხრივ აჩვენა, მნიშვნელოვანი განსხვავებები მდედრობითი და მამრობითი სქესის მოზარდებს შორის. კერძოდ, ოჯახურ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით, თანატოლთა ზეგავლენა უფრო მეტად აისახება ბიჭებზე, ვიდრე გოგონებზე. აღნიშნული ადასტურებს ლიტერატურის მიმოხილვაში გაანალიზებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც ბიჭებთან შედარებით, გოგონებს უფრო მეტად უვითარდებათ ემოციური პრობლემები ოჯახთან უთანხმოების, ან თანატოლებთან პრობლემების შედეგად (Crawford, Cohen, Midlarsky, & Brook, 2001). მსგავსი სქესთა შორის განსხვავება გამოვლინდა ასევე, შფოთვა/დეპრესიის მაჩვენებლის მიხედვით - მდედრობითი სქესის მოზარდებს უფრო მეტად აღენიშნებათ შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებელი, ვიდრე მამრობითი სქესის მოზარდებს. აღნიშნული ადასტურებს მონაპენისა და კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც ინტერნალიზებული პრობლემები, როგორებიცაა დეპრესია უფრო ხშირია მოზარდ გოგონებში, რაც იწვევს თანატოლებთან პრობლემებს და წინ უსწრებს პრობლემურ ქცევას (Monahan, Oesterle, Rhew, & Hawkins, 2014). აგრესიული ქცევის გამოვლინების მხრივ, სქესთაშორის განსხვავებები არ დაფიქსირებულა თუმცა, ბორიდის და კოლეგების კვლევის მიხედვით, ქცევის აშლილობის მსგავსად, აგრესია უფრო მეტად გამოხატულია მოზარდ ბიჭებში, ვიდრე გოგონებში (Broidy et al., 2003). აგრესიულ ქცევას მოწმობს სპეციალისტებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც პრაქტიკაში ბიჭი მოზარდები უფრო ავლენენ მათთან მსგავს ქცევას, ვიდრე გოგონები. მათი თქმით, ხშირ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია მოზარდების მხრიდან გამოხატულ უნდობლობასთან, ცინიკურ დამოკიდებულებასთან, აგრესიული ქცევასა და კომუნიკაციის სირთულეებთან. ასევე, სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა უშუალოდ თანატოლთა ზეგავლენის საერთო მაჩვენებლის მიხედვით, რაც მოწმობს ფოკუს ჯგუფის შედეგებს. სპეციალისტებისგან მიღებული ინფორმაციით, როდესაც საქმე ეხება თანატოლთა ზეგავლენას, ამ მხრივ პრაქტიკაში არ აწყდებიან სქესთაშორის განსხვავებებს.

რაც შეეხება საკვლევ ცვლადებს შორის კორელაციებს, დადებითი კავშირი გამოვლინდა პრობლემურ ქცევასა და თანატოლთა ნორმების მიმართ კონფორმულობას შორის. ასევე, ოჯახში ჩართულობასა და სასკოლო აქტივობებში ჩართულობას შორის. აღნიშნული კავშირი შესაძლოა აიხსნას დელიკვენტური ქცევის სტატუსური დანაშაულებრივი ქმედებების კატეგორიით, რაც უკავშირდება სკოლის ხშირ გაცდენას ან/და სახლიდან გაქცევა (Woolard & Scott, 2009). შესაბამისად, მოზარდები, რომლებიც არ ავლენენ სირთულეებს ოჯახში ან სკოლაში, სავარაუდოა, რომ ნაკლებად ექნება კანონთან კონფლიქტი, ან პრობლემური ქცევის განხორციელების მოტივაცია. ამის საპირისპიროდ, ოჯახში სირთულეები და კონფლიქტური სიტუაციები არასრულწლოვანს უქმნის რიგ სირთულეებს, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია პრობლემურ ქცევასთან და მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დინამიკასთან.

ექსტერნალიზებული ქცევითი სირთულეები დადებით კორელაციაშია პრობლემური ქცევასთან, შფოთვა/დეპრესიასთან და სომატური ჩივილებთან, რაც ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული კვლევების შედეგებსაც ადასტურებს Graber & Sontag, 2009). გარდა ამისა, აღნიშნულს ადასტურებს სპეციალისტების პრაქტიკულ გამოცდილებაც, საიდანაც ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული დაკავშირებული იყო სწორედ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან. ხოლო რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ არასრულწლოვნებში პრობლემური ქცევის განხორციელების ყველაზე მაღალი პრედიქტორი თანატოლთა ზეგავლენაა, ხოლო შედარებით ნაკლები გავლენა საოჯახო და სასკოლო აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელს აქვს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებისა და დარგის სპეციალისტების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მოზარდებში პრობლემური ქცევის განხორციელების პრევენციას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული რეკომენდაციები შემუშავდა, რთული ქცევის მქონე მოზარდებისთვის, მათი მშობლებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, უწყებებისა და მათი სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ რთული ქცევის მქონე მოზარდებთან.

1. რეკომენდებულია მუშაობა პირველი დონის პრევენციის ეტაპზე. კერძოდ, არასრულწლოვანთა ინფორმირებულობის გაზრდა დელიქვენტური ქცევის გამომწვევი რისკ-ფაქტორებისა, მისი შესაძლო შედეგებისა და პრევენციული გზების შესახებ; ზემოაღნიშნული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს განათლების სამინისტროსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი თანამშრომლობით. სკოლებში ტრენინგ-შეხვედრების ფორმატით ან სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე;

2. სკოლის სოციალური მუშაკების მიერ საჭიროებისამებრ ორგანიზდეს საკონსულტაციო შეხვედრები რთული ქცევის მქონე მოზარდების მშობლებთან. შეხვედრების მიზანი მოზარდობის ასაკის თავისებურებებისა და დელიკვენტური ქცევის შესახებ ცნობიერების ამაღლება იქნება; გარდა ამისა, ვინაიდან ოჯახს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოზარდის განვითარებასა და ქცევაზე, რეკომენდებულია, მათი გაძლიერება პოზიტიური მშობლობის მიმართულებით, რისი განხორციელებაც შესაძლებელია ტრენინგ მოდულების გამოყენებით;

არასრულწლოვანთა პრობაციის ფარგლებში მიზანშეწონილია ჯგუფური შეხვედრების დანერგვა, სადაც ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, იმუშაონ საერთო მიზნებზე, განივითარონ ჯგუფური პასუხისმგებლობა და პოზიტიური სოციალური ნორმები.

3. სასკოლო დონეზე ხელი შეეწყოს მოზარდებისთვის არაფორმალურ აქტივობებს; უნდა შეიქმნას ფიზიკური სივრცეები სადაც მოსწავლეები შეძლებენ თანასკოლელებთან ურთიერთობას. სასურველია ჩატარდეს სხვადასხვა არაფორმალური სპორტული, გასართობი, თუ საგანმანათლებლო ღონისძიებები, შიდა სასკოლო და სკოლებს შორისი ჩემპიონატები, რათა გაიზარდოს მოზარდებს შორის სოციალიზაციის ხარისხი;

4. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს და გაფართოვდეს საკითხის კვლევა, გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად რედაქტირდეს ან/და ჩამოყალიბდეს არასრულწლოვნების საჭიროებებზე მორგებული დელიკვენტური ქცევის პრევენციის პროგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა

Achenbach, T. M., & Edelbrock, C. (1987). *Manual for the youth self-report and profile*. University of Vermont, Department of Psychiatry.

Achenbach, T. M., & Rescorla, L. A. (2001). *Manual for the ASEBA school-age forms & profiles*. University of Vermont, Research Center for Children, Youth, & Families.

Blakemore, S.-J. (2018). *Inventing ourselves: The secret life of the teenage brain*. PublicAffairs.

Breiner, K., Li, A., Cohen, A. O., Steinberg, L., & Casey, B. J. (2023). Risk-taking and the adolescent brain: A dual systems perspective. *Developmental Cognitive Neuroscience*, 58, 101196. <https://doi.org/10.1016/j.dcn.2023.101196>

Brown, B. B. (1985). The role of peer groups in adolescents' adjustment to secondary school. In C. Ames & R. Ames (Eds.), *Research on motivation in education: Vol. 2. The classroom milieu* (pp. 211–246). Academic Press.

Casey, B. J., Jones, R. M., & Hare, T. A. (2010). The adolescent brain. *Annals of the New York Academy of Sciences*, 1124(1), 111–126. <https://doi.org/10.1196/annals.1440.010>

Casey, B. J., Heller, A. S., Gee, D. G., & Cohen, A. O. (2017). Development of the emotional brain. *Neuroscience Letters*, 693, 29–34. <https://doi.org/10.1016/j.neulet.2017.06.045>

Collins, W. A., & Steinberg, L. (2006). Adolescent development in interpersonal context. In N. Eisenberg (Ed.), *Handbook of child psychology* (6th ed., Vol. 3, pp. 1003–1067). Wiley.

Compas, B. E., Jaser, S. S., Bettis, A. H., Watson, K. H., Gruhn, M. A., Dunbar, J. P., ... & Thigpen, J. C. (2021). Coping, emotion regulation, and psychopathology in childhood and adolescence: A meta-analysis and narrative review.

Donovan, J. E., Jessor, R., & Costa, F. M. (1991). Adolescent health behavior and conventionality–unconventionality: An extension of problem-behavior theory. *Health Psychology*, 10(1), 52–61. <https://doi.org/10.1037/0278-6133.10.1.52>

Engels, R. C. M. E., Deković, M., & Meeus, W. (2004). Parenting practices, social skills and peer relationships in adolescence. *Social Behavior and Personality: an international journal*, 32(1), 3–18. <https://doi.org/10.2224/sbp.2004.32.1.3>

Ferschmann, L., Vijayakumar, N., Grydeland, H., Overbye, K., Due-Tønnessen, P., Fjell, A. M., ... & Tamnes, C. K. (2021). Dual systems of adolescent brain development and risk-taking: A meta-analysis.

Figner, B., Mackinlay, R. J., Wilkening, F., & Weber, E. U. (2009). Affective and deliberative processes in risky choice: Age differences in risk taking in the Columbia Card Task. *Journal of Experimental Psychology: Learning, Memory, and Cognition*, 35(3), 709–730. <https://doi.org/10.1037/a0014983>

Gardner, M., & Steinberg, L. (2005). Peer influence on risk taking, risk preference, and risky decision making in adolescence and adulthood: An experimental study. *Developmental Psychology*, 41(4), 625–635. <https://doi.org/10.1037/0012-1649.41.4.625>

Hubas, C. J., Miller, B. A., & Bentler, P. M. (1979). A social psychological model of adolescent drug use. *International Journal of the Addictions*, 14(1), 121–129

Jessor, R. (1991). Risk behavior in adolescence: A psychosocial framework for understanding and action. *Journal of Adolescent Health*, 12(8), 597–605. [https://doi.org/10.1016/1054-139X\(91\)90007-K](https://doi.org/10.1016/1054-139X(91)90007-K)

Jessor, R., Graves, T. D., Hanson, R. C., & Jessor, S. L. (1968). *Society, personality, and deviant behavior: A study of a tri-ethnic community*. Holt, Rinehart and Winston.

Luna, B., Marek, S., Larsen, B., Tervo-Clemmens, B., & Chahal, R. (2015). An integrative model of the maturation of cognitive control. *Annual Review of Neuroscience*, 38, 151–170.

Mikolajczak, M., Gross, J. J., & Roskam, I. (2020). Parental burnout: What is it, and why does it matter? *Clinical Psychological Science*, 8(5), 861–868. <https://doi.org/10.1177/2167702620912530>

Moffitt, T. E. (1993). Adolescence-limited and life-course-persistent antisocial behavior: A developmental taxonomy. *Psychological Review*, 100(4), 674–701. <https://doi.org/10.1037/0033-295X.100.4.674>

Odgers, C. L., & Jensen, M. R. (2020). Annual research review: Adolescent mental health in the digital age: Facts, fears, and future directions. *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 61(3), 336–348. <https://doi.org/10.1111/jcpp.13190>

Smith, A. R., Steinberg, L., & Chein, J. (2018). The role of the anterior insula in adolescent decision making. *Developmental Neuroscience*, 40(3), 200–209. <https://doi.org/10.1159/000484413>

Somerville, L. H., Jones, R. M., & Casey, B. J. (2010). A time of change: Behavioral and neural correlates of adolescent sensitivity to appetitive and aversive environmental cues. *Brain and Cognition*, 72(1), 124–133.

Somerville, L. H., Sasse, S. F., Garrad, M. C., Drysdale, A. T., Abi Akar, N., Insel, C., & Wilson, R. C. (2017). Charting the expansion of strategic exploratory behavior during adolescence. *Journal of Experimental Psychology: General*, 146(2), 155–164. <https://doi.org/10.1037/xge0000250>

Spear, L. P. (2010). *The behavioral neuroscience of adolescence*. W. W. Norton & Company.

Steinberg, L. (2014). *Age of opportunity: Lessons from the new science of adolescence*. Houghton Mifflin Harcourt.

Steinberg, L. (2020). *Adolescence* (12th ed.). McGraw-Hill Education.

Twenge, J. M. (2019). More time on technology, less happiness? Associations between digital-media use and psychological well-being. *Current Directions in Psychological Science*, 28(4), 372–379. <https://doi.org/10.1177/0963721419838244>

White, B. A., & Renk, K. (2012). Externalizing behavior problems during adolescence: An ecological perspective. *Journal of Child and Family Studies*, 21, 158–171.

Zimring, F. E. (1998). *American youth violence*. Oxford University Press.